

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს
პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის
კანდიდატის შეფასების ფორმა

აღმუსანდრუ კობაიძის
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი	არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი	აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი	სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის წორმების ცოდნა	13	25	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	13	25	
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20	
პროფესიული თვისებები	13	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წერთა	9	10	
პროფესიული აქტივობა	5	5	
ქულათა ჯამი	68	100	

სახელი, გვარი: გოგა კიკილაშვილი

თარიღი: 26 / 09 / 2024



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კიკილაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ალექსანდრე კობაიძის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

- 1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.
- 1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ალექსანდრე კობაიძე (შემდგომში - „კანდიდატი“).
- 1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.
- 1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 01 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- 1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 38 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრი: შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერო უნივერსიტეტი, 2008წ; მაგისტრი: სდასუ, 2017წ). სპეციალობით მუშაობს დაახლოებით 10 წელია. კერძოდ: 2014 წლიდან დღემდე - არის ადვოკატი; ასევე - მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ა(ა)იპ ორგანიზაციების (მაგ: „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია“) მუშაობაში, მათ შორის - დამფუძნებლის/ ხელმძღვანელის რანგში.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და მიმჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერესტ სივრცეში ხელმისაწვდომია სწვადასხვა საპის ინფორმაცია მის საადვოკატო და პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. შედიამ გააშუქა ცნობა „კანდიდატის“ გენერალური პროკურორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ომბუდსმენის, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსებში მონაწილეობის თაობაზე. ხელმისაწვდომია მისი საჯარო განცხადებები. „კანდიდატის“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არის პოლიტიკური პარტია „ხალხის პარტია“ დამფუძნებელი / წევრი; ასევე - 2014 წელს იყო მერობის კანდიდატი, წარდგენილი პარტიისაგან „სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა“.

2.1.4. „კანდიდატის“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიშართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხები, დიდი რაოდენობით ვადაგადაცილებებით და ჯარიმებით. „კანდიდატის“ ეკუთვნის აგარაკი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მაკვოდაში, მიწის ნაკვეთით 600 მ². სამეწარმეო რეესტრში არსებული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან, კერძოდ: დეკლარაციაში არ არის მითითებული კანდიდატის სასესხო ვალდებულებების შესახებ, ასევე - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში მის შესახებ ასახული, გარკვეული ინფორმაცია, კერძოდ:

- ✓ დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია, დირექტორი;
- ✓ შპს ალექსანდრე კობაძის საადვოკატო ბიურო, დირექტორი;
- ✓ შპს ჯი ემ თივი, მეწილე, დირექტორი;
- ✓ ახალგაზრდა უფლება დამცველთა ასოციაცია;
- ✓ ა(ა)იპ კობაძის საქვემდებრებო ფონდი, დირექტორი;
- ✓ შპს ლენდსატი, მეწილე, დირექტორი;
- ✓ მოძრაობა სოლიდარობა, დამფუძნებელი;
- ✓ შპს იურიდიული ჯვარი ემ-ეი-პი ლიგალი, მამულამცილი და პარტნიორები, მეწილე.

2.1.5. ბოლო საში წლის განმავლობაში, „კანდიდატი“ 31 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა)

ჩადენისათვის; ჯარიშები ვადაგადაცილებითაა გადახდილი, საურავებთან ერთად, ამასთან - 3 შემთხვევაში ჯარიმა გადაუხდელია.

2.1.6. „კანდიდატი“ მხარედ მონაწილეობდა და მონაწილეობს 21 მიმღინარე/ დასრულებულ სამოქალაქო საქმეში; დაზარალებულად ცნობილი სისხლის სამართლის საქმეშე არ ყოფილა. სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ცნობით, მის მიმართ შეფარდებული და გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი არ არსებობს.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა სტატია და ნაშრომი, კერძოდ:

- ✓ სტატია: „ნარკოტიკული დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დახასიათება“;
- ✓ ნაშრომი: „მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში“.

ორივე სამეცნიერო წაშრომის შემთხვევაში მსჯელობა უმეტესად არის ზედაპირული, არ არის გამყარებული უახლესი სამეცნიერო წყაროებიდან შესაბამისი ციტატებით და რელუვანტური აღილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკით. გასათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ ეს შესაძლოა იყოს „კანდიდატის“ მიერ სამეცნიერო ნაშრომის შექმნის პირველი მცდელობა და შემდგომ ეტაპზე მოხდეს ხარისხის ზრდა.

2.1.8. „კანდიდატს“, მისივე განცხადებით, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

2.1.9. „კანდიდატს“ ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა 2014 წელს; 2009-2012 წლებში იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი. არის ერიგოლუ რობაქიძის სახელობის (ალმა-მატერის) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი.

2.1.10. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბმულუ:

<https://www.youtube.com/watch?v=L0V0x58o-x8>

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს“ წევრებშა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. გარდა ამისა, მან დაუშვა აძვარა ძეცდომები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ან - თავი აარიდა პასუხს, ანდაც მისი პასუხები, რიგ შემთხვევაში, იყო შეკითხვის არსა. თვალსაჩინოებისათვის, აღსანიშნავია რამდენიმე მაგალითი:

- 2.2.2.1. შეკითხვაზე, თუ რატომ უწოდა „კანდიდატმა“ ფესტურთელ გიორგი შაქარაძვილის საქმეზე ბრალდებული პირებისათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს 2020 წლის 28 ივნისის განჩინებას „სამარცხვინო“ (იხ: <https://1tv.ge/news/aleqsandre-kobaidze-samarckhvinoba-sasamartlos-gadawyvetileba-moqmed-sportsmenebis-19-20-wlis-bichebs-kariera-daengrat/>), „კანდიდატმა“ ეს ახსნა გამოხატვის თავისუფლებით, ადვოკატის „გაბედულებით“ და კლიენტის ინტერესებით;
- 2.2.2.2. შეკითხვაზე, თუ რატომ არ იყო მის მიერ წარმოდგენილი დეკლარაცია სრულყოფილად შევსებული (იხ: ამ შეფასების 2.1.4 პუნქტი), „კანდიდატმა“ უპასუხა, რომ ეს იყო „ტექნიკური შეცდომა“;
- 2.2.2.3. „კანდიდატმა“ ვერ შეძლო ე.წ. აბსოლუტური უფლებების ამომწურავად ჩამოთვლა;
- 2.2.2.4. კანდიდატმა ვერ განმარტა დისკრეციული უფლებამოსილების არსი, მისი ასეთი უფლებამოსილების პირობებში გამოცემული აქტის კანონიერების წინაპირობები და ამ აქტის კანონიერების შემოწმების დროს სასამართლო კონტროლის ფარგლები;
- 2.2.2.5. „კანდიდატმა“ ვერ შეძლო ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის წინაპირობებსა და წესზე სათანადოდ არგუმენტირებული და სრული პასუხის ჩამოყალიბება (ფაქტიურად, ისაუბრა მხოლოდ აღკვეთის ფონისძიების შეფარდებისას „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტის გამოყენებაზე);
- 2.2.2.6. „კანდიდატმა“ ვერ გასცა პასუხი შეკითხვას, თუ რამდენი მუხლისაგან შედგება საქართველოს ძირითადი კანონი - კონსტიტუცია;
- 2.2.2.7. „კანდიდატმა“ ვერ ჩამოაყალიბა სამართლებრივი სახელმწიფოს წორმატიული ელემენტები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით; მისი მსჯელობა იყო ზოგადი და ზერეალუ;
- 2.2.2.8. „კანდიდატმა“ არ იცის, თუ რა მექანიზმს ითვალისწინება ადამიანის უფლებათა უკოპული კონვენციის მე-16 ოქმი და ა.შ.
- 2.2.2.9. კანდიდატი იყენებდა არასწორ ტერმინოლოგიას, მაგალითისთვის, სამოსამართლო საქმიანობას მოიხსენიებდა როგორც სამართალშემოქმედებას და არა, საქმისწარმოებას, ან სამართალწარმოებას.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

- 3.1. კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივუდი შემდეგ დასკვნამდე:

სამოსამართლო გამოცდილების არმქონეკანდიდატის მიმართ კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს კეთილსინდისიერების შემდეგ კომპონენტებს:

- ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;
- ბ) „დამოუკიდებლობა, შიუკერძობლობა და საბართლიანობა“;
- გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;
- დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, შეფასების დროს ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, გათვალისწინება: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამქვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურის მიერ ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

„კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.2.1. წარმოდგენილი და მოძიებული მონაცემების თანახმად დაფიქსირდა არაერთი გარემოება, რომელიც მნიშვნელოვანია „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის კრიტერიუმით შეფასებისას, კურძოდ: ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჭარბი რაოდენობა (31 ერთეული), რომელთაგან ნაწილი დაგვიანებითაა გადახდილი, ხოლო ნაწილი (3 ერთეული) გადაუხდელია, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიუთითებლობაც, ქმნის საფუძველს ვივარაუდო, რომ კანდიდატი როგორც მოქალაქე, სათანადო პასუხისმგებლობას არ ავლენს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების მიმართ და როგორც „კანდიდატი“ არ არასიათებს სათანადო გულმოდგინება და სიზუსტე დოკუმენტების წარმოების დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული შეფასება ეფუძნება უშუალოდ წარმოდგენილი/მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგებს.

„კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“¹ აღნიშნული კომპონენტების უარყოფითი შეფასება საქმარისია, დავასკვნა, რომ „კანდიდატი“ არ აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3.2.2. „კანდიდატი“ არის პრინციპული, ძალუს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს ზეგავლენის მიმართ შედეგობა და პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, რის გამოც მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით

¹ განმარტებული ამავე მუხლის მე-4 პუნქტით.

გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“² მახასიათებელს, თუმცა ყურადღებას შივაქცევდი იმ გარემოებას, რომ კანდიდატმა ფართოდ ისაუბრა ერთგვაროვანი სასამართლო პოლიტიკის აუცილებლობაზე ადგენტის ღონისძიებებთან მიმართებით, რომლის სულისკვეთება წინააღმდეგობაში მოდიოდა მისივე საჯარო განცხადებებთან ერთ-ერთ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, რაც თავად კანდიდატმა ახსნა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობით.

3.2.3. ამ შეფასების 2.2.2.1 პუნქტი ასახული ფაქტი და მისდამი „კანდიდატის“ დამოუკიდებულება სერიოზულ კითხვის ნიშანს ბადებს კანდიდატის კორექტულობასთან მიმართებით. იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მოსამართლის პროფესიის სპეციფიკულ გამომდინარე, მოსამართლე თავად არის ხოლმე მსგავსი შეფასებების ობიექტი, რასაც შესაძლოა სისტემატიკური ხასიათიც ჰქონდეს, რომ მოსამართლის პროფესიის სპეციფიკულ გამომდინარე, მოსამართლე თავად არის ხოლმე მსგავსი პროფესიების, ასევე იმას, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, „კანდიდატის“ ქვევა იყოს სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი და სამართლებრივი რეალობის შესაბამისი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გაკეთება არ წარმოადგენს მიუდებელ გარემოებას, თუმცა განსაზიდველ შემთხვევაში საუბარია პოზიციის გამოხატვის ფორმასა და მის კორექტულობაზე.

ზემოაღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, მაქვს საფუძველი, მივიჩნიო, რომ „კანდიდატი“ არ აკმაყოფილებს „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ „პიროვნული და პროფესიული ქვევის“ შახასიათებელს.³

3.2.4. „კანდიდატის“ საქმიანი და მორალური რეპუტაციის/ავტორიტეტის გამაქარწყობელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“³⁵¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ შახასიათებელს.⁴

3.2.5. ვინაიდან მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 მახასიათებლიდან ორს აკმაყოფილებს, გავაკეთე „კანონის“³⁵² მუხლის მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

² განმარტებული ამავე მუხლის მე 5 პუნქტით.

³ განმარტებული ამავე მუხლის მე-6 პუნქტით.

⁴ განმარტებული ამავე მუხლის მე-7 პუნქტით.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის შიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების⁵ ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მიღები შემდეგ დასკვრამდე:

4.1.1. „კანონის“ 35⁶ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის „სამართლის ნორმების ცოდნის“⁷ მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35⁸ მუხლის მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეადგენს 25 ქულას.

იმის გათვალისწინებით, რომ „კანდიდატმა“ შეკითხვების ნაწილი დატოვა უპასუხოდ, ხოლო გაცემული პასუხების უმეტესობა იყო არახრული, ხარვეზიანი და შეიცავდა შეცდომებს, არ შეძირია გავაკეთო სხვა შეფასება გარდა იმისა, რომ „კანდიდატმა“ კონკრეტულ შემთხვევაში გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიზიდალური ცოდნა.⁹

„სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 13 ქულით.

4.1.2. „კანონის“ 35¹⁰ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „კანონის“ 35¹¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“¹² მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 25 ქულით.

„კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების გარკვეული უნარი და საადვოკატო საქმიანობის სფეროში მუშაობის გარკვეული პროფესიული გამოცდილება. თუმცა, მოსმენის დროს გამოვლენილი დასაბუთების უნარი, ტერმინოლოგიის სათანადო გამოყენება და სამართლებრივი შეფასებების სიზუსტე არ შეუსაბამება საკასაციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ არსებულ მაღალ სტანდარტს, რომ მან განახორციელოს ნორმის დოქტრინალური განმარტება და დაამკვიდროს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 13 ქულით.

4.1.3. „კანონის“ 35¹³ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული¹⁴ „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35¹⁵ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

„კანდიდატი“ ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით, თუმცა მოსმენის დროს დაფიქსირდა რამდენიმე

⁵ იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

⁶ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

⁷ იხ. შეფასების 2.2.2. პუნქტი.

⁸ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

⁹ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

შემთხვევა, როდესაც მსჯელობა აგებული იყო ნორმის შინარისის ან/და სახელწოდების მარტოოდენ განმეორებით პერეფრაზირებაზე, რაც ართულებს შინარისის აღქმას და იწვევს განსახილველი საკითხის არსისგან დისტანცირებას. ასევე დაფიქსირდა ტერმინილოგიური სარვეზებიც. კანდიდატი არის ორი სტატიის ავტორი, რაც ასევე გავითვალისწინე შეფასების დროს.

„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის ძიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 15 ქულით.

4.1.4. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების“¹⁰ მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება - 15 ქულა.

„კანდიდატი“ ძირითადად პუნქტუალურია, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. თუმცა, იმის გამო, რომ მას არ აქვს მოსამართლედ ან სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება, მიჭირს დავასკვნა, რომ მას აქვს სათანადო მენეჯერული უნარები - იმუშაოს სტრუქტურულ სისტემაში და გაუმჯობესდეს მოსამართლის რთული საქმიანობისთვის დამახასიათებელ გამოწვევებს.

„პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის ძიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 13 ქულით.

4.1.5. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“¹¹ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 10 ქულით.

„კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროცესამებში არცთუ ხშირად მონაწილეობს; ამდენად, მას გააჩნია გარკვეული ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოცისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში, ასევე კანდიდატი მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უთითებს, რომ არის ორი სტატიის ავტორი.

„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის ძიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 9 ქულით.

4.1.6. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“¹² მახასიათებლის მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 5 ქულას.

„კანდიდატი“ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფურმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას

¹⁰ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

¹¹ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-13 პუნქტით.

¹² კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-14 პუნქტით.

(შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და დამსწრე საზოგადოებას წარუდგენს საკუთარ იდეების/წინადადებებს.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს “ვაფასებ 5 ქულით.

4.2. ყოველივე ზეძოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს“ ჯამურად ვაფასებ 68 ქულით.

ხელმოწერა:

